პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 212 (4722) 25 ოქტომბერი, ოთხშაბათი. 1972 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი და მესამე

კიროვაბადში გაიმართა სსრ კავშირის საუწყებათშორისო პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკ ძალოსანთა შორის. კარგად იასპარეზეს საქართველოს სპორტსმენებმა — სოხუმელმა ო. კარაიანიდიმ („განთიადი") და თბილისელმა გ. სათათაშვილმა („კოლმეურნე"): უმძიმეს წონით კატეგორიაში მათ შესაბამისად I და III ადგილები დაიკავეს.



## სსრ კავშირის თასი მეთევან ლოსაბერიძემ მოიპოვა

გუშინწინ დუშანბეში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მშვილდოსნობაში. ქალთა შორის შესანიშნავად იასპარეზა ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორანტმა ქ. ლოსაბერიძემ: მან 1222 ქულა დააგროვა და საპატიო პრიზიც მოიპოვა.

საპრიზო სამეულში შევიდნენ, აგრეთვე, უკრაინის წარმომადგენლები ვ. კოვპანი (1220 ქულა) და ლ. ხარიტონოვა (1215), რომლებმაც მიუნხენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, მოსკოველი ე. გაპჩენკო და ლენინგრადელი ა. პეუნოვა ჩამოიტოვეს (გაპჩენკოს შედეგია 1207 ქულა).

ვაჟთა შორის ყველას აჯობა ლენინგრადელმა მ. პეუნოვმა — 1215 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ უკრაინის წარმომადგენელი ვ. რეზნიკოვი (1214 ქულა) და მოსკოველი ს. ლობკოვი (1207).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: უკრაინა, მოსკოვი, ესტონეთი. საქართველოს გუნდმა VI ადგილი დაიკავა.

* * *

სურათზე: ქ. ლოსაბერიძე.

### საქართველოს პროფსაბჭოში

# ჯადოქარი ფინანსისტები ფეხბურთში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბოლო წლებში შეიმჩნევა უხეში ფინანსური დარღვევები ფეხბურთელთა გუნდებში. გამონაკლისი ამ მხრივ არც შარშანდელი და წლევანდელი წლები ყოფილა. შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდების მესვეურები დაურიდებლად, ხელაღებით უარყოფენ ფინანსური დისციპლინის მოთხოვნებს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფეხბურთელთა გუნდის „მეტალურგის" საჭიროებისთვის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა (ყოფილი თავმჯდომარე შ. საყვარელიძე) შარშან 28785 მანეთი გადარიცხა პროფკავშირის ბიუჯეტიდან. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ხარჯთაღრიცხვის ზევით საჭირო გახდა კიდევ 5036 მანეთის დახარჯვა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ო. ალავიძეც ერთობ გულუხვი კაცი გამოდგა: შარშან მან სამივლინებო ხარჯები (2367 მანეთი) აუნაზღაურა... ცხაკაიელ ფეხბურთელებს (!).

მშრომელთა ნაამაგარი სახსრების ხელგაშლით ხარჯვაში არც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს დ. ქათამაძეს შეურცხვენია თავი. ამ ქარხნის გუნდმა „მეტალურგმა" შარშან 5969 მანეთით გადააჭარბა დაგეგმილ თანხას, მაგრამ ეს ვალი ქათამაძის „ჯადოქრობამ" დაფარა: დანაკლისი პროფკავშირის ბიუჯეტის თანხებიდან შეივსო.

1971 წელი ფინანსურად სახარბიელო მაჩვენებლებით არც გორის „დილის" ფეხბურთელთა კოლექტივს დაუმთავრებია. გუნდმა 136752 მანეთი დახარჯა, მაშინ, როცა შემოსავალი ამ თანხაზე 19418 მანეთით ნაკლები იყო.

გაუგონარი მაქინაციებით გამოიჩინეს თავი ფოთის „კოლხეთის" მესვეურებმა. გუნდის შემოსავალმა წლევანდელი წლის შვიდ თვეში 50129 მანეთი შეადგინა, დაიხარჯა კი 58345 მანეთი. ჯადოქარმა ფინანსისტებმა აქაც „ორიგინალურ" ხერხს მიმართეს: ანგარიშები რომ შეადგინეს, გუნდის შენახვის ხარჯები ერთბაშად 5 ათასი მანეთით შეამცირეს, აქაოდა, გუნდის ფაქტიური შემოსავლიდან სტადიონის სასარგებლოდ 8,8 ათასი მანეთის გამოყოფა „დაგვავიწყდაო".

თავის მხრივ თურმე არც სტადიონის ხელმძღვანელობა (დირექტორი ი. მიქაძე) ყოფილა გულხელდაკრეფილი. წლევანდელი წლის ექვს თვეში მან გეგმის ზევით 3056 მანეთი დახარჯა. თანაც, ეს სერიოზული დარღვევა ნახევარი წლის საფინანსო ანგარიშშიც არ უჩვენებია. 1971 წლის აბონემენტების საფასური (74497 მანეთი) სტადიონის ბუღალტერმა კ. უდოვიჩენკომ უფრო ადრინდელი დავალიანების ხარჯებს მიაწერა.

მავნე ჩვევად იქცა ფეხბურთის აბონემენტების გაუმართლებელი მეთოდებით რეალიზაცია. მაგალითად, ბორჯომის მუშის ქარხნის, ბორჯომის სამშენებლო-სარემონტო კონტორისა და საქკურორტვაჭრობის ბორჯომის განყოფილების მუშათა კომიტეტებმა აბონემენტების ნაღდ ანგარიშზე გავრცელების ნაცვლად ეს თანხები „განთიადის" რაიონული საბჭოს პროფკავშირების სახსრებიდან გადაურიცხეს (შესაბამისად 114, 800 და 92 მანეთი).

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მკაცრად დასაჯა დამნაშავენი. მიქაძე და უდოვიჩენკო სამსახურიდან მოხსნეს. „ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ვ. იორაიშვილს, ბორჯომის მუშის ქარხნის ადგილკომის თავმჯდომარეს ნ. ორჯონიკიძეს, საქკურორტვაჭრობის ბორჯომის განყოფილების პროფკავშირთა ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეს ი. მაღრაძეს გამოეცხადათ საყვედური. დ. ქათამაძის საკითხი განსახილველად გადაეცა მეტალურგიული მშენებლობის პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტს.

პრეზიდიუმმა მიიღო სათანადო დადგენილება ფეხბურთელთა გუნდებში „ჯადოქარ ფინანსისტთა" თვითნებობის აღსაკვეთად.

### სარბიელი მოსამზადებელი

## 50 ტურისტული მარშრუტი

საფეიქრო გაერთიანება „ვოსხოდის", ქარხანა „ლეგმაშის", ჩერნოვცის ტრიკოტაჟის ფირმის რამდენიმე ათასმა მუშამ და მოსამსახურემ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ტურისტული ნორმატივები შეასრულა.

მშდ კომპლექსის მარშრუტები უკვე აღინიშნა უკრაინის ტურისტულ რუკაზე. ჩერნოვცის, ყირიმის, იმიერკარპატეთის, ტერნოპოლის, ივანო-ფრანკოვსკისა და სხვა ოლქებში კიდევ მუშავდება ახალი ტრასები. კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მოსამზადებლად ეწყობა მასობრივი საწვრთნელი ლაშქრობები ქალაქგარე ზონებში.

— ჩვენი მიზანია ტურისტულ ბაზებში მშრომელთა საერთო ფიზიკური მომზადების დონე ავამაღლოთ, მოვამზადოთ ისინი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის, — გვიამბობს უკრაინის ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ს. ხვოსტენკო. — ამ მიზნით იქმნება ათობით ახალი მარტივი მოედანი, ტანვარჯიშული ქალაქი.

ლაშქრობის მარშრუტის სიგრძეა 5 კილომეტრი — ყველაზე ახალგაზრდებისთვის, და 30 კილომეტრი — უფროსებისთვის, რომლებიც IV საფეხურის („ფიზიკური სრულყოფა") ნორმატივებს აბარებენ. ლაშქრობათა ხელმძღვანელები ჩათვლებს იღებენ ტოპოგრაფიასა და ორიენტირებაში, კარვის გაშლაში, პირველი სამედიცინო დახმარების გაწევაში.

— ტურიზმის შეტანა მშდ კომპლექსის სისტემაში, — აღნიშნავს ხვოსტენკო, — კიდევ უფრო დააახლოებს მოსახლეობის ფართო ფენებს სპორტის ამ მიმზიდველ და სასარგებლო სახეობასთან. ამას გარდა, ეს ხელს შეუწყობს ათასობით მშრომელის ჯანმრთელობის განმტკიცებას.

ს. ბელოვი.

კიევი.

## ვორონეჟელთა სტუმრები

ვორონეჟის „სპარტაკის" სპორტულ სკოლაში ბევრი კარგი ტანმოვარჯიშე აღიზარდა. დავასახელოთ სპორტის დამსახურებული ოსტატები, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონები თ. ლიუხინა, ი. პერვუშინა, ლ. ბურდა. სპორტის ოსტატი გახდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. შტუკმანის აღზრდილი კიდევ 30 ტანმოვარჯიშე.

ამ დღეებში ნორჩი ვორონეჟელი ტანმოვარჯიშეები მატჩში შეხვდნენ გფრ-ის კლუბ „ვატენშაიდ-1901"-ის გუნდს და დამაჯერებლად მოუგეს სტუმრებს. პირად ჩათვლაშიც ვორონეჟელი სპორტსმენი იყო პირველი — V კლასის მოსწავლე ლენა დავიდოვა.

ვორონეჟი.

## იუბილეს მიუძღვნეს

„განთიადის" ტყიბულის საქალაქო საბჭოს სპარტაკიადა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, მძლეოსნობა, ქართული და თავისუფალი ჭიდაობა, ძალოსნობა.

კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს ტყიბულშახტმშენის სამმართველომ, სტალინის, ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტების, ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკისა და ცენტრალური სამინაო კონტორის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

ძალოსნობაში I ადგილი დაიკავეს სტალინის სახელობის შახტის სპორტსმენებმა. თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში, აგრეთვე, ხელბურთში იმარჯვეს ტყიბულშახტმშენის გუნდებმა, მძლეოსნობაში — ლენინის სახელობის შახტის სპორტსმენებმა.

ფრენბურთში ყველას აჯობეს ცენტრალური სამინაო კონტორის წარმომადგენლებმა, კალათბურთში — ტყიბულმშენის გუნდმა.

ფეხბურთში პირველობა მოიპოვა მუშათა მომარაგების განყოფილების ნაკრებმა.

სპარტაკიადის მონაწილეთაგან ორმა პირველი, 53-მა — მეორე, 122-მა კი მესამე თანრიგის ნორმატივები შეასრულა.

ზ. ჟორჟაძე.
(ჩვენი კორ.).

ტყიბული.

სსრკ 50

## მეგობრები, მეტოქეები...

თბილისის იპოდრომზე გაიმართა ცხენოსანთა შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშების პროგრამით. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდა ცხენოსნები, რომლებიც გამარჯვებისთვის იბრძოდნენ, ამავე დროს ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, ეხმარებოდნენ ამოცანის შესრულებაში.

* * *





სურათებზე: მარცხნიდან — აზერბაიჯანელი ი. ნაჯაფოვი, ზ. წურწუმია (საქართველო) და სომხეთის გუნდის წევრი ა. ასლანიანი ეცნობიან დაბრკოლებათა ზოლის პირველ წინაღობას; ორჭიდში გამარჯვებული ტატიანა მაცალი (აზერბაიჯანი) ასპარეზობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი 50 წლისაა

# სახელოვანი გზა

ინსტიტუტის ჩოგბურთელთა ნაკრებმა პროფკავშირების საკავშირო შეჯიბრებაში 1937 წელს პირველობა დაისაკუთრა და თასი მოიპოვა.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან პირველად სწორედ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაინერგა ფარიკაობა. ძალიან მოკლე დროში გამოცდილმა პედაგოგმა ა. ფიოდოროვმა აღზარდა კარგი მოფარიკავეები ძოწენიძე, გელბუხი, კობახიძე, მამაცაშვილი, სულხანიშვილი, ციციშვილი, ლევინი და სხვ.

დიდი განვითარება ჰპოვა კრივმა. 1937 წლის დამლევისთვის რამდენიმე კარგი მოკრივე აღიზარდა. იმ წლიწადს ბ. კვინიხიძემ საკავშირო პროფკავშირთა ჩემპიონატში პირველობა მოიპოვა. აქ აღიზარდნენ ზ. კანდელაკი და ლ. ღუდუშაური... ამ უკანასკნელმა შემდგომში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიხვეჭა.

მოკრივეთა აღზრდაში დიდი დამსახურება მიუძღვის დამსახურებულ ინჟინერს ა. ბუზოღლის. მისი ტრადიციები გააგრძელა შ. გორგასლიძემ, რომელიც ახლაც იუბილარი ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრაზე მუშაობს უფროს მასწავლებლად.

როგორც ინდუსტრიულ ინსტიტუტში, ისე ფართო ფიზკულტურულ საზოგადოებრიობაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა ფეხბურთელთა გუნდი. 1936 წელს მან მძიმე ინდუსტრიის სახალხო კომისარიატის საკავშირო სპარტაკიადაში კარგი თამაშით ისახელა თავი და პირველობაც დაისაკუთრა. ფაქტიურად, სწორედ ამ გუნდის ბაზაზე შეიქმნა თბილისის „დინამოს" კოლექტივი. ინსტიტუტიდან „დინამოში" მივიდნენ შემდეგში ცნობილი ფეხბურთელები: ბ. პაიჭაძე, მ. მინაევი, გ. ჯეჯელავა, ა. კიკნაძე, ვ. ჯორბენაძე, გ. ჭუმბურიძე, ე. ნიკოლაიშვილი და სხვ.

სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო საწყლოსნო და მოტო-ველოსექციები. და მაინც, ინსტიტუტში აღზრდილი მოცურავეებიდან რამდენიმე რესპუბლიკის ნაკრებში შედიოდა. ესენი იყვნენ ალტაევი, რუხაძე და ტირაკიდი. მოტო-ველოსექციაში აღიზარდნენ საქართველოს ჩემპიონი გ. ლეჟავა, ველოსიპედისტი ქალები თ. მოსეშვილი და მ. კაიაკი.

1934-35 წლების სეზონში ბაკურიანში იყვნენ იმ დროის ცნობილი მოთხილამურეები მ. ლებედევი, გ. ანდრეევი, პ. როდიონოვი და სხვ. ამით ისარგებლეს თბილისელმა სტუდენტებმა და ვ. კოსმაჩევსკის მეთაურობით მოაწყვეს პირველი მეცადინეობები სათხილამურო სპორტში.

უკვე 1936-37 წლებში საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტ მოთხილამურეთა შეკრებები უფრო ორგანიზებული გახდა. ზამთრის არდადეგების დროს ინსტიტუტიდან ბაკურიანში საწვრთნელ მეცადინეობებზე რეგულარულად იგზავნებოდა გუნდები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ ვ. კოსმაჩევსკი, ა. არხანგელსკი, ვ. იმნაძე, ვ. ზერცალოვი, ნიკიფოროვი, წულაძე, პეტროვი, ლ. გიორგაძე, ვ. მესხიშვილი, აგრეთვე, მოთხილამურე ქალიშვილები მიქაბერიძე, მიხინა, შჩულკინა, ფირალოვა, სარქისოვა და სხვ. საგულდაგულო მუშაობამ ნაყოფიც მალე გამოიღო: 1936-37 წლების სეზონში ინსტიტუტის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში 20 მოთხილამურე შედიოდა, საქართველოს პირველობაში ყველას აჯობა.

შემდგომში ინსტიტუტში სამთოსათხილამურო სპორტის შესანიშნავი ოსტატები აღიზარდნენ: ტრამპლინიდან მხტომელები გიორგაძე და პეტროვი, მოთხილამურენი ნიკიფოროვი, იმნაძე, კოსმაჩევსკი, სლალომისტი მესხიშვილი და სხვ.

ინსტიტუტში დიდი ყურადღება ექცეოდა კომპლექსურ მასობრივ ღონისძიებათა ჩატარებას (ლაშქრობები, ექსკურსიები, სპარტაკიადები, ალპინიადები). განსაკუთრებით საინტერესო იყო 1936 წელს მოწყობილი გასამხედროებული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — მოსკოვი. მარშრუტი დაყოფილი იყო შვიდ ეტაპად: თბილისი — სოხუმი (ცხენებით), სოხუმი — ნოვოროსიისკი (ზღვით), ნოვოროსიისკი — დონის როსტოვი (ველოსიპედებით), დონის როსტოვი — ბოგუჩარი (მდინარე დონით), ბოგუჩარი — ვორონეჟი (ბაიდარებით), ვორონეჟი — სერპუხოვი (ველოსიპედებით), სერპუხოვი — მოსკოვი (თვითმფრინავით). ბოლო ეტაპზე ლაშქრობის მონაწილენი პარაშუტებით დაეშვნენ ტუშინოს აეროდრომზე.

ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 11 სტუდენტმა. ესენი საქართველოში მშდ კომპლექსის II საფეხურის პირველი ნიშნოსნები იყვნენ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, სათხილამურო გადასვლა მარშრუტით: ბაკურიანი — ახალქალაქი — კზილ-კორჩი — ლენინაკანი. მთელი გზა 180 კმ — 24 საგადასვლო საათში დაიფარა. ეს ღონისძიება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეთხუთმეტე წლისთავს მიეძღვნა. 1936 წლის 25 თებერვალს მოწყობილ აღლუმზე ჩამოსულ სსრ კავშირის მარშალ კ. ვოროშილოვს გადასვლის მონაწილეებმა ჩატარებული ღონისძიების შესახებ უპატაკეს.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ინსტიტუტის ტანმოვარჯიშენი ხარკოვში სპორტსაზოგადოება „სტროიტელის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში (გაიმართა 18-24 ივნისს) გამოდიოდნენ და I ადგილი დაიკავეს. მერე სპორტული მუშაობა ფრონტის მოთხოვნებს დაექვემდებარა. მთელი ყურადღება წითელი არმიისთვის რეზერვის მომზადებაზე გადაიტანეს. ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივის ასობით წევრი იბრძოდა საბჭოთა სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ინსტიტუტის ბევრი აღზრდილი დაბრუნდა მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული. დღეს არ შეიძლება არ მოვიგონოთ ბრძოლის ველზე მამაცთა სიკვდილით დაცემულნი: კალათბურთელები ო. ავალიშვილი და ვ. ჭიჭინაძე, ჩოგბურთელი გ. გულიაშვილი, მოკრივეები მისააკიანი და ივაშჩენკო, ტანმოვარჯიშე ა. ხაჯიევი, მსროლელი-სნაიპერი ზ. გამცემლიძე, მძლეოსანი ლ. აზატიანი და სხვ.

ომის წლებში, ბუნებრივია, მასობრივ სპორტულ ღონისძიებებს ძირითადად, თუ შეიძლება ითქვას, ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ რამდენიმე საკავშირო შეჯიბრება.

თბილისში და რესპუბლიკის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები უმთავრესად სამხედრო-გამოყენებითი იყო. ეწყობოდა გასამხედროებული გადასვლები და ლაშქრობანი, მასობრივი კროსები, შეჯიბრებები ხელყუმბარის ტყორცნაში, სპორტული საღამოები ჰოსპიტლებში...

იმ პერიოდის სპორტული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია 1943-44 წლებში გამართული თბილისის მოკრივეთა პირველობები. ორივე შეჯიბრებაში ინსტიტუტის გუნდმა ყველას აჯობა. 1944 წელს მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატში მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტმა შ. გორგასლიძემ თავის წონაში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

ომის წლებში სხვადასხვა შეჯიბრებაში თავი ისახელეს ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეებმა ნ. თაყაიშვილმა, ო. ფერაძემ, კ. გოლაშვილმა, ე. ქერიძეშვილმა. 1944 წლის ოქტომბერში ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეებმა საკავშირო პროფსაბჭოს პირველობაში მიიღეს მონაწილეობა.

ომის შემდგომ წლებში ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სპორტული ტრადიციების აღდგენას. 1945 წელს, უკვე ოქტომბერში, სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიის სპარტაკიადაში (თბილისი). ტანმოვარჯიშე თ. სანებლიძემ I ადგილი დაიკავა. სარბიელზე გამოვიდნენ, აგრეთვე, ო. ფერაძე და ი. კიკნაძე. მძლეოსანმა ლ. სანაძემ 100 მეტრზე რბენაში რესპუბლიკის ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა.

იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში ინსტიტუტის 12 ტანმოვარჯიშემ მონაწილეობა მიიღო „ნაუკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში (ლენინგრადი). გუნდმა II ადგილი დაიკავა.

ომის შემდგომი წლების პირველ დიდ კომპლექსურ ღონისძიებაში — სტუდენტთა საზაფხულო სპარტაკიადაში, რომელიც 1947 წელს კიევში გაიმართა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის 98 სტუდენტი ჩაება. მომავალმა ინჟინრებმა კომპლექსურ ჩათვლაში IV ადგილი დაიკავეს. ჩოგბურთში ჩვენები მესამენი იყვნენ, ფეხბურთსა და კალათბურთში (ქალები) კი მეორენი.

თანდათან გახშირდა საინტერესო რესპუბლიკური თუ საკავშირო შეჯიბრებები. ამ დროისთვის სახელი მოიხვეჭეს ინსტიტუტის ძალოსნებმა ბარაბაძემ, ბასილაძემ, საამოვმა, შერაზადაშვილმა; ფრენბურთელებმა ვრანიაკმა, კაჭარავამ, ბერიშვილმა, ზაალიშვილმა, ტონკონოგოვამ, შეწირულმა; კალათბურთელებმა ალავიძემ, ლორთქიფანიძემ, თოფურიამ, კარანაძემ, ნიკოლაიშვილმა, ყუბანეიშვილმა; ტანმოვარჯიშეებმა ჯიშკარიანმა, სართანიამ, ძიკუნმა; მძლეოსნებმა სანაძემ, პორტნოვმა; მოკრივეებმა ნაბიჭვრიშვილმა, კირაკოზოვმა, ბერიძემ, ბურჭულაძემ, რუხაძემ, გლიჩოვმა; მოჭიდავეებმა კვაჭაძემ, ნინუამ, მჭედლიძემ, ჩიხლაძემ; ჩოგბურთელებმა კოკაიამ, ვერულავამ.

1948-1956 წლებში ძალიან პოპულარული იყო საკლუბო შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში ხუთხუთი გუნდით (ვაჟთა 3 და ქალთა 2 კოლექტივი). ამ ტურნირებს მუდამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები იგებდნენ.

1950 წელს გაიმართა I საინსტიტუტო სპარტაკიადა, რომელიც შემდგომ ტრადიციად იქცა. ამავე წლიდან ჩაყარა საძირკველი ქალთა საქალაქო სპარტაკიადებს, რომლებშიც პოლიტექნიკური ინსტიტუტი სისტემატურად მონაწილეობდა და ხშირად წარმატებასაც აღწევდა.

ინსტიტუტში გამოჩნდნენ ნიჭიერი ტანმოვარჯიშეები გ. ბეჟანიშვილი, ძმები მ. და ზ. თავართქილაძეები, ჯ. ნონიკაშვილი, ვ. ბააკაშვილი, თ. სულუხია, ვ. ცაგარელი, რ. ლომიძე, უ. ვარდიაშვილი, ნ. ბურდული, ლ. თურმანაული, მ. ხაჩიძე, ტ. კომისარენკო, მ. ზვიადაძე და სხვ.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან მხატვრული ტანვარჯიში პირველად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაინერგა. აქ აღიზარდნენ შელია, კოლესნიკოვა, გრიგორიევა, ტიუევა, კეიცინიძე, რომლებიც 1953-58 წლებში წარმატებით იცავდნენ თავიანთი კოლექტივის ღირსებას.

ამ წლებში მუშაობა გააძლიერა მაგიდის ჩოგბურთის სექციამ. აქ აღიზარდნენ იზაშვილი, კუდაშვილი, ცაგარელი, ხუციშვილი, რუსტამბეკოვა, ლოლაძე. უფრო მოგვიანებით დაოსტატდნენ ღარიბაშვილი, ხანთაძე, აბდალაძე, შემდეგ კი მელაძე, მკრტჩიანი, რამაზაშვილი და სხვ. ბევრ მათგანს წარმატებით უასპარეზია რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე.

მაღალი კლასის მოჭიდავეთა მომზადებისთვის დიდ მუშაობას ეწევა სპი-ს ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი. იგი თვითონ იყო შესანიშნავი სპორტსმენი, შვიდჯერ მოიპოვა რესპუბლიკის და სამჯერ — სსრ კავშირის ჩემპიონობა. როსტიაშვილმა ბევრი მოჭიდავე აღზარდა, რომლებმაც ასახელეს ინსტიტუტი, საქართველო და სსრ კავშირი. 1952-60 წლებში ინსტიტუტის მოჭიდავეებმა ბევრ წარმატებას მიაღწიეს. დავასახელოთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები დავლიანიძე, ქავთარაძე, ნინუა, მელქაძე, ცისკარიშვილი, საღარაძე, ბერიაშვილი, ხოხაშვილი, კლასიკური სტილის მოჭიდავენი ჭითავა, ვეკუა, გველესიანი, ხაბეიშვილი, ბლიაძე, აბაშიძე, ქორიძე და სხვ. ზემოდასახელებულთა შორის არიან სსრ კავშირის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები.

ბევრი რამ კეთდება კარგ კალათბურთელთა აღზრდისთვის. ამჟამად ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. კეკელიძემ, აგრეთვე, კათედრის უფროსმა მასწავლებელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლ. ძეკონსკიმ ძალიან დიდი მუშაობა გასწიეს კალათბურთელთა დაოსტატების მიზნით.

ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდი 1952 წლიდან მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატებში. გუნდმა სხვადასხვა დროს რამდენიმეჯერ მოიპოვა II ადგილი (1955, 1959, 1965, 1966 წ.წ.), რვაჯერ იყო სტუდენტთა თამაშების პრიზიორი, ჩატარებული აქვს 100-ზე მეტი საერთაშორისო შეხვედრა, მათ შორის, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ალბანეთში, რუმინეთში, პოლონეთში, გდრ-ში. ამ შეხვედრათა უმეტესობა ქართველმა სტუდენტებმა მოიგეს. 1965 წელს ქალთა გუნდმა დაამარცხა იმ დროისთვის საკმაოდ ძლიერი გუნდი — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები.

სსრ კავშირის სტუდენტ ქალთა ნაკრების შემადგენლობაში უნივერსიადების სარბიელზე (1966, 1970 წ.წ.) გამოდიოდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი კალათბურთელები ა. ასიტაშვილი, ვ. გნიოტოვა, ნ. ტოტიაშვილი, ც. ჯანელიძე, ლ. ქვლივიძე, გ. გრიგორიანი და მ. სურგულაძე. ინსტიტუტის კალათბურთელთა შორის 40 სპორტის ოსტატია, ხოლო სურგულაძე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახლავთ.

1957 წლიდან სსრ კავშირის ჩემპიონატში გამოდის ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი. თავდაპირველად ეს იყო ჭაბუკთა კოლექტივი, რომელსაც მ. კეკელიძე წვრთნიდა. შემდეგ ჭაბუკებმა თითქმის მთელი შემადგენლობით გააგრძელეს სწავლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ზაქარიაძე, კეკელია, ტოგონიძე, ხომერიკი, ჩხარტიშვილი და სხვ.) და სწორედ აქ დაოსტატდნენ.

ინსტიტუტის კალათბურთელები სხვადასხვა დროს საბჭოთა ნაკრების ღირსებას წარმატებით იცავდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში, სხვა საერთაშორისო ტურნირებში. აი, ისინიც: გ. მინაშვილი — რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ა. ლეჟავა — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, ლ. მოსეშვილი — ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ს. კოვალენკო — მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ზ. საკანდელიძე — მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი, მ. ქორქია — ოლიმპიური ჩემპიონი.

სსრ კავშირის ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების წევრები ამჟამადაც არიან ლ. ჩხიკვაძე და ი. ძიძიგური.

**მ. ცხვედაძე,**
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 211.



საქართველოს პროფსაბჭოს მოზარდთა და ბავშვთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელმა მ. ალიაკრინსკაიამ, რომელსაც გ. მიროტაძე ავარჯიშებს, წლეულს შედეგები საგრძნობლად გაზარდა: სიმაღლეზე ხტომაში საქართველოს რეკორდის ჭერი 177 სანტიმეტრამდე ახწია, ამას წინათ კი სოჭში მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლების საკავშირო ტურნირში გამარჯვებაც დაისაკუთრა.

• • •

სურათზე: მ. ალიაკრინსკაია სოჭის სტადიონზე ასპარეზობისას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## იზრდება ნიშნოსანთა რიგები




სოფელ ანგისის სტადიონზე მოეწყო მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება. სტარტზე გამოვიდა რაიონის 170-ზე მეტი ფიზკულტურელი.

პროგრამაში იყო 100 მეტრზე რბენა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ხელყუმბარის ტყორცნა, ბირთვის კვრა, ღერძზე მიზიდვა. წინსვლისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობების, მერძევეობის საბჭოთა მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლებმა ჩინებული მომზადება გამოავლინეს: 37 ფიზკულტურელმა ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა ნორმატივები, ხოლო 68 კაცმა ვერცხლის სამკერდე ნიშნის შესაბამისი მოთხოვნები შეასრულა.

დღეისთვის ხელვაჩაურის რაიონში ოქროს სამკერდე ნიშანზე ნორმატივები ჩაბარებული აქვს 253, ხოლო ვერცხლის ნიშანზე — 300-ზე მეტ ფიზკულტურელს.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

სოფ. ანგისა,
ხელვაჩაურის რაიონი.

## ლაითურელთა გამარჯვება

„კოლმეურნის" მახარაძის რაისაბჭოს სპარტაკიადა ყოველწლიურად საინტერესოდ ტარდება. ტრადიციულად, შეჯიბრებას ორი ფავორიტი ჰყავს. ესენი არიან ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივები: როგორც წესი, პირველობისთვის უმთავრესად ისინი იბრძვიან.

წლეულს ასპარეზობა 9 სახეობაში ჩატარდა. ლაითურელებმა (ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე გ. გვარჯალაძე) ოთხი I ადგილი დაისაკუთრეს: კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში (მწვრთნელი მ. ხაბალაშვილი), ქართულ ჭიდაობაში (გ. დვალიშვილი) და ქალთა ფრენბურთში (კ. ინწკირველი).

ნატანებელმა სპორტსმენებმა ორ სახეობაში მოიპოვეს რაისაბჭოს ჩემპიონობა: კალათბურთელმა ვაჟებმა (ო. ზოიძე) და ძალოსნებმა (მ. მიმინოშვილი).

მძლეოსნობაში I ადგილი დაისაკუთრეს შემოქმედის ფიზკულტურელებმა (გ. დუმბაძე).

კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ სოფელ მახარაძის სპორტსმენებს, რომლებმაც ორი I ადგილი მოიპოვეს. ესენი არიან ხელბურთელი და ფრენბურთელი ვაჟები (მწვრთნელი ს. ქარჩილაძე).

საბოლოოდ კომპლექსურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა და გარდამავალი თასი წილად ხვდათ ლაითურელებს. II ადგილი ნატანების წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს, ხოლო III ადგილი სოფელ შრომის ფიზკულტურის კოლექტივს ერგო.

**ვ. შავიშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ძალოსნობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტის ოსტატთა ოჯახმა იმრავლა

ოქტომბრის პირველ ნახევარში რიონმა ფოთში ორ დიდ ტურნირს უმასპინძლა: ჯერ მოეწყო საქართველოს ჩემპიონატი, აგრეთვე, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, მერე კი ამავე რანგის შეჯიბრებები ბაიდარებითა და კანოეებით. ოღონდ ეგ იყო, ამჯერად სტარტზე უკონკურსოდ აზერბაიჯანის ნიჩბოსნებიც გამოვიდნენ.

„აკადემიკოსთა" ტურნირის შედეგებს უკვე ვიტყობინებოდით. რაც შეეხება ბაიდარებითა და კანოეებით ასპარეზობას, აქაც, როგორც ჩემპიონატში, ისე სპარტაკიადაში, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკრები კოლექტივები გამოდიოდნენ.

ფოთის სტარტების შედეგებზე გვესაუბრა ამ სახეობებში საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. არხანგელსკი. იგი კმაყოფილია, რომ „კოლმეურნემ" და „სპარტაკმა" ხელი მოჰკიდეს ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის განვითარებას. სამაგიეროდ, მწვრთნელს არც ის დაუმალავს, რომ „განთიადმა", „ლოკომოტივმა" და „ბურევესტნიკმა" ამ მხრივ უკან დაიხიეს, რაც საანგარიშო ტურნირის შედეგებშიც აისახა. ჩემპიონატში, მაგალითად, ამ სამი საზოგადოებიდან ვერც ერთი ვერ გავიდა საპრიზო ადგილზე, სპარტაკიადაში კი, რომელშიც მხოლოდ ქალიშვილები და იუნიორები გამოდიოდნენ, „ბურევესტნიკი" III ადგილს ძლივს შესწვდა.

მთავარი მწვრთნელი პირადი ტურნირის პრიზიორთა საერთო შედეგებით კმაყოფილია. მან თქვა, რომ ფოთის სტარტებმა სპორტის ოსტატთა რიგებს ოთხი ახალგაზრდა შემატა. ეს ნორმატივი შეასრულეს ამიერკავკასიის არმიელთა სპორტკლუბის გუნდის წევრებმა: ერთადგილიანი ბაიდარით 500 მეტრზე რბოლაში ა. გრაბკომ, ერთადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე ასპარეზობაში — ს. დოლდირინმა, აგრეთვე, ორადგილიანი კანოეთი ამავე დისტანციაზე ფინალურ რბოლაში გამარჯვებულებმა გ. შახნაზარიანმა და მ. კლეიმანმა (4.02,8), რომლებმაც „ვოდნიკის" დუეტს ფინიშთან 3,4 წამით მიასწრეს (მესამე შედეგი — 4.06,4 — აზერბაიჯანის ნიჩბოსნებს ჰქონდათ).

— ტურნირში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონები — „ვოდნიკის" გუნდის წევრები, სპორტის ოსტატები ზ. ხოფერია და ნ. ჩარაევიც გამოდიოდნენ. მათ სტარტები უმეტესად წარმატებით დაამთავრეს, მაგრამ მეტოქეებიც ვაჟკაცურად იბრძოდნენ. დოლდირინმა სწორედ ხოფერიას დამარცხებით შეძლო სპორტის ოსტატობის მოპოვება, — დაასრულა არხანგელსკიმ.

ხოფერიასა და ჩარაევის გარდა, ასპარეზობას სხვა ფავორიტებიც ჰყავდა, რომლებიც თითო გამარჯვებას როდი დასჯერდნენ. ქალებიდან უნდა დავასახელოთ დინამოელები ნ. ვალეშნაია და ე. მორჩილაძე, ვაჟებიდან — შახნაზარიანი, არმიელი სპორტის ოსტატი ა. სკოტარენკო, „ვოდნიკის" გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი პ. ვიშნიაკოვი. ამ უკანასკნელმა, მაგალითად, გამარჯვება ოთხჯერ იზეიმა ბაიდარებით შეჯიბრებებში.

ქება დაიმსახურეს აზერბაიჯანის ნიჩბოსნებმაც. ფოთში მათ რამდენიმე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს, ოთხადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე რბოლაში კი საუკეთესო დრო (3.13,8) აჩვენეს და საქართველოს ჩემპიონს — „ლოკომოტივის" კვარტეტს (ვ. გაგოშვილი, ვ. გიუტაშვილი, ი. ჭაჭავაძე, ნ. ცხოვრებოვი) 22 წამი მოუგეს. ჩემპიონატში II ადგილი „ვოდნიკის" ეკიპაჟს ხვდა — 3.44,2, III — „განთიადის" გუნდს — 3.48,0.

რაკი სიტყვა აზერბაიჯანელ სტუმრებზე ჩამოვარდა, ვიტყვით, რომ ამ რესპუბლიკის სპორტსმენებმა მესამე შედეგი მოიპოვეს ერთადგილიანი კანოეთი 1000 და 10000 მეტრზე (ე. მავთმედოვი — 5.05,2 და 58.05,0), ორადგილიანი ბაიდარით 10000 მეტრზე (ა. მაჰმუდოვი და პ. კოლესნიკოვი — 50.01,0) რბოლაში, ორადგილიანი კანოეებით ამავე მანძილზე კი მეორე შედეგი (გ. ფეოფანოვი, კ. ისმაილოვი — 50.25,0) ჰქონდათ. აქ ისინი ჩამორჩნენ მხოლოდ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონებს ხოფერიასა და ჩარაევს (50.13,0), რომლებიც ამ დისტანციაზე პირადი პირველობისთვის იბრძოდნენ.

მოასპარეზე კოლექტივების მომზადების დონე აშკარად განსხვავდებოდა, ამიტომაც საერთო გუნდურ ჩათვლაში ისინი ერთმანეთს საგრძნობლად დაშორდნენ. მაგალითად, არმიელთა სპორტული კლუბის ნიჩბოსნებმა საბოლოოდ 231 ქულა მოაგროვეს, II ადგილზე გასულმა „ვოდნიკმა" — 174, მესამე პრიზიორმა „დინამომ" კი 114.

ამ მხრივ სხვა სურათი იყო სპარტაკიადის ჩათვლაში, თუმცა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების კოლექტივები დაძაბული ბრძოლითა და შედეგების სიმჭიდროვით ვერც აქ დაიქადნიან. სპარტაკიადაში (ჩათვლაში მხოლოდ ქალიშვილებისა და იუნიორების შედეგები შედიოდა) გამარჯვებულმა „ვოდნიკმა" ტურნირი 62 ქულით დაამთავრა, II ადგილზე გასულმა „დინამომ" კი 46 ქულა მოაგროვა და „ბურევესტნიკს" 6 ქულით გაუსწრო.

პირად ტურნირში დაძაბულობით მხოლოდ სამი ფინალური გაცურვა გამოირჩეოდა. ქალთა შორის 4×500 მეტრზე ესტაფეტაში პირველობისთვის უშელავათო ბრძოლა გამართეს „დინამოსა" და „ლოკომოტივის" გუნდებმა. ბედმა რკინიგზელ ნიჩბოსნებს ლ. ჯანანაშვილს, ნ. ღალუას, ს. კალინინასა და ა. დემიანენკოს გაუღიმა — 10.32,8. მათ მთავარ მეტოქეს 0,6 წამი მოუგეს და რესპუბლიკის ჩემპიონობა დაისაკუთრეს. III ადგილზე სტუდენტები გავიდნენ — 10.47,2.

ზუსტად ასევე 0,6 წამმა დააშორა ერთმანეთს 500 მეტრზე ორადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში პირველობის ორი მთავარი პრეტენდენტი: ჩარაევისა და ხოფერიას დუეტმა (2.06,4) არმიელთა სპორტკლუბის პირველი კოლექტივის წევრებს შახნაზარიანსა და კლეიმანს (2.07,0) გამოცდილებით აჯობა. III ადგილი არმიელთა მეორე კოლექტივს (დოლდირინი, ვ. ნიკოლაევი) ხვდა — 2.08,2.

ამავე მანძილზე ორადგილიანი ბაიდარებით მოასპარეზე ვაჟთა ფინალურ გაცურვაში „ვოდნიკის" ორი ეკიპაჟი გავიდა და ორივემ საპრიზო ადგილი დაიკავა: ერთმა (ზ. ეგუტიძე, გ. ლაგვილავა — 1.57,0) — II, მეორემ (კ. ზაბოლოცკი, ნ. ივანოვი — 1.58,2) — III. პირველობა წილად ხვდა დუეტს, რომლის შემადგენლობაში არმიელი სკოტარენკო და დინამოელი ვ. ტრეტიაკი იყვნენ — 1.56,8.

**ო. იჲდოშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

• • •

## ჩემპიონატის სხვა ტექნიკური შედეგები

**ქალები. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** ნ. ლუცენკო („ვოდნიკი") — 2.26,2, ნ. ვალეშნაია („დინამო") — 2.29,8, ს. გერასიმენკო (ასკ) — 2.40,0; **ორადგილიანი.** „დინამო" (ვალეშნაია, ე. მორჩილაძე) — 2.22,2, „ვოდნიკი" — 2.25,8, „ლოკომოტივი" — 2.32,4; **ოთხადგილიანი.** „დინამო" (ვალეშნაია, მორჩილაძე, ნ. ტონკონოჟენკო, ს. ვართანიანი) — 2.14,0, „ბურევესტნიკი" — 2.17,2, „ლოკომოტივი"—2.18,0. **ვაჟები. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** ა. გრაბკო (ასკ) — 2.08,0, ა. ოლეინიკი („ლოკომოტივი") — 2.08,7, გ. ლაგვილავა („ვოდნიკი") — 2.09,6; **ესტაფეტა 4×500 მ.** „ვოდნიკი" (პ. ვიშნიაკოვი, ზ. ეგუტიძე, პ. ზაბოლოცკი, ლაგვილავა)—8.25,0, ასკ — 8.47,0, „ლოკომოტივი" — 8.49,0. **კანოე. ერთადგილიანი.** ნ. ჩარაევი („ვოდნიკი") — 2.27,5, ვ. პეტროსიანი — 2.30,0, ვ. ნიკოლაევი (ორივე — ასკ) — 2.34,2. **ესტაფეტა 4×500 მ.** არმიელთა სპორტკლუბი (გ. შახნაზარიანი, მ. კლეიმანი, ს. დოლდირინი, ლ. დანელიანი) — 9.19,0, „ვოდნიკი" — 9.45,0, „დინამო" — 10.05,0. **1000 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** ვიშნიაკოვი — 4.24,8, ა. სკოტარენკო (ასკ) — 4.30,0, გრაბკო — 4.33,2; **ორადგილიანი.** „ვოდნიკი" (ვიშნიაკოვი, ეგუტიძე) — 4.07,0, „ბურევესტნიკი" — 4.09,2, „ლოკომოტივი" — 4.11,0; **კანოე. ერთადგილიანი.** დოლდირინი — 4.57,2, ზ. ხოფერია — 4.59,8, დანელიანი — 5.15,0; **10000 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** სკოტარენკო — 55.30,0, ვ. გაგოშვილი („ლოკომოტივი", პირადი) — 55.45,0, ოლეინიკი — 55.55,0; **ორადგილიანი.** ვ. სოსულია — ნ. მიხაილოვი („ბურევესტნიკი", პირადი) — 49.50,0, ასკ — 49.55,0; **ოთხადგილიანი.** „ვოდნიკი" (ვიშნიაკოვი, ეგუტიძე, ზაბოლოცკი, ლაგვილავა) — 44.45,0, ასკ — 47.30,0, ასკ (პირადი) — 49.05,0. **კანოე. ერთადგილიანი.** ნ. ნიკიფოროვი — 56.30,0, ვ. სიდორკოვი (ორივე — „დინამო") — 57.36,0, გ. ნოვიკოვი („სპარტაკი") — 58.55,0.



# ჩემპიონის შერყეული პრესტიჟი

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზის სარბიელზე, კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში მხოლოდ ერთი გუნდი იბრძვის დაუმარცხებლად: თბილისის ნაკრებმა სამ მატჩში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა და ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას.

გუშინწინ საინტერესო იყო მესამე წრის მატჩი თბილისის ნაკრებსა და მოსკოვის „სპარტაკს" შორის. მართალია, სტუმრებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, მაგრამ ამას მათი ტაქტიკური სქემა ოდნავაც არ შეუცვლია. მოსკოველთა მთავარი იარაღი შეტევაა. მეტოქის ფარს ისინი ეშელონებად აწყდებიან ხან ცენტრიდან, ხან ფლანგებიდან. ასეთ დროს ბევრი რამ დამოკიდებული მეტოქის დაცვის ელასტიკურობასა და მობილურობაზე, ვინაიდან თვით „სპარტაკი" ნაკლებად ზრუნავს თავისი ფარის უსაფრთხოებისთვის. ის, ვინც უკეთ განალაგებს დაცვის ხაზებს და ეფექტურად მოიგერიებს მოსკოველთა პირველ იერიშებს, უეჭველად მიაღწევს საწადელს.

თბილისელებმა თავიდანვე აუღეს ალღო სტუმრების თამაშის ამ თავისებურებას და მთავარი ყურადღება კალათის დაცვაზე გადაიტანეს. „სპარტაკს" წინ აღუდგა მყარი და საიმედო ზონა, რომელმაც საფუძველშივე შეარყია გუნდის სათამაშო პრინციპები. თბილისელთა სქემა ამჯერად უფრო რაციონალური და ეფექტური ჩანდა, ხოლო მწვავე კონტრშეტევებმა უკვე პირველივე ტაიმში სასურველი ქულები მოიტანა (29:19).

„სპარტაკმა" მთელი მეორე ნახევარი ამ 10-ქულიანი სხვაობის ლიკვიდაციას მოანდომა, ოღონდ საერთო გეგმა არ შეუცვლია. მან, მართალია, ნაწილობრივ მიაღწია კიდეც მიზანს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა — 52:57.

შესუსტებული შემადგენლობით თამაშობს უნივერსიტეტის გუნდიც, მაგრამ მესამე წრის მარცხს თბილისის ახალგაზრდულ ნაკრებთან მთლიანად ამას ვერ დავაბრალებთ. ახალგაზრდებმა ერთობ ენერგიულად ჩაატარეს შეხვედრა. ისინი უფრო მწვავედ უტევდნენ მეტოქის კალათს, უფრო ეფექტურად იცავდნენ თავს და მიაღწიეს კიდეც წარმატებას — 58:53 (29:26).

მესამე კალენდარული დღის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ვარშავისა და ლოძის გუნდების შეხვედრა იყო. ჯერ ორიოდე სიტყვა მეტოქეებზე. ლოძის ლკს პოლონეთის ჩემპიონია. მისი სამი წამყვანი მოთამაშე ახლახან დაბრუნდა ევროპის ჩემპიონატიდან და, ცხადია, ჯერ კიდევ გასული ბრძოლების შთაბეჭდილებათა ტყვეობაშია. ვარშავის აზს წლეულს დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას, მაგრამ დიდი ტურნირების გამოცდილება არც მას აკლია: ფიზიკური კულტურის აკადემიის კალათბურთელები სულ რამდენიმე წლის წინ ევროპულ ტურნირებში მონაწილეობდნენ და მათს შარშანდელ წარუმატებლობას მწვრთნელი დროებით კრიზისს მიაწერს.

ასეა თუ ისე, გუშინწინდელი მატჩის წინ ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩემპიონის მხარეს იყო, რომელიც თბილისის ნაკრებთან ერთად დამაჯერებლად ლიდერობდა გათამაშებას. მაგრამ სწორედ ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი ჩემპიონისთვის ამჯერად დამღუპველი გამოდგა. ვარშაველებმა მთელი შეხვედრა თავისუფლად ჩაატარეს, იმ დროს, როცა ჩემპიონს თავისი მდგომარეობა და ტიტულები ამძიმებდა.

მატჩი თამამად შეიძლება ჩავთვალოთ ტურნირის პირველი ნახევრის გვირგვინად. ლამაზი და ტემპიანი შეტევები, ზუსტი სროლა კალათში, ზონური დაცვისა და პრესინგის დროული მონაცვლეობა, თავგანწირული თამაში დაცვაში — ყველაფერი ეს ბრძოლის ლოგიკით ნაკარნახევი ეტაპები იყო მატჩში, რომელმაც პირველიდან ბოლო წუთამდე დაატყვევა მაყურებელი.

ვარშაველთა ყოველ შეტევას ტონს აძლევდა ორი ნიჭიერი კალათბურთელი — ოპალა და პეტკევიჩი. ჩემპიონმა ბრძოლის სადავეები ნაკრების წევრებს მარჩინიაკს, სტრუმილოსა და სმოლენსკას ანდო. მაგრამ ლოძელთა ტრიო ამ დღეს აშკარად შევიწროებული და უფერული გვეჩვენა. ვარშაველებმა ტაიმი 16 ქულის უპირატესობით მოიგეს — 36:20, შესვენების შემდეგ კი სხვაობა 20 ქულამდე გაზარდეს.

ჩემპიონი აშკარად კატასტროფის წინაშე იდგა. იგი უკვე მატჩის გადარჩენისთვის კი არ ზრუნავდა, არამედ პრესტიჟისთვის. ამიტომაც შეხვედრის ბოლოს გააფთრებული შეტევები წამოიწყო. მსაჯის საფინალო სასტვენისთვის სხვაობა 9 ქულამდე შემცირდა — 58:49. ლოძელებმა ამოცანა ნაწილობრივ გადაჭრეს, თუმცა სატურნირო ცხრილში პირველი წაგება ჩაიწერეს.

**ნ. გუგუშვილი.**

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ნაკრები (თბილისი) | 3 | 3 | 0 | 213—156 | 3 |
| ლკს (ლოძი) | 3 | 2 | 1 | 194—181 | 2 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 3 | 2 | 1 | 184—177 | 2 |
| აზს (ვარშავა) | 3 | 1 | 2 | 185—191 | 1 |
| ახალგაზრდ. ნაკრები (თბილისი) | 3 | 1 | 2 | 168—185 | 1 |
| უნივერსიტეტი (თბილისი) | 3 | 0 | 3 | 163—217 | 0 |

საკლესი მოგვითხრობს

## ჩვენი მომავალი ჩემპიონები

### რეკორდსმენი 16 წლისაა

16 წლის ოლგა ისკანდეროვამ უკვე მეხუთედ დაამყარა უზბეკეთის რეკორდი ხუთჭიდში. მოსწავლეთა შეჯიბრებაში 3704 ქულა მოაგროვა. ტაშკენტელმა მეცხრეკლასელმა გოგონამ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

ამ ოთხი წლის წინ ისკანდეროვა პირველად გამოვიდა სარბიელზე. მას მაშინვე მიაქცია ყურადღება მწვრთნელმა ი. აფანასიევმა, რომელსაც ბევრი ნამდვილი ტალანტი აღმოუჩენია (მისი 15 აღზრდილი დღეს უზბეკეთის ჩემპიონი და რეკორდსმენია).

ოლგას თავიდან მხოლოდ სიმაღლეზე ხტომა და თარჯრბენი იზიდავდა, მერე კი მძლეოსნობის სხვა სახეობებმაც გაიტაცა.

ნორჩმა სპორტსმენმა უკვე რამდენიმეჯერ მოიპოვა უზბეკეთის ჩემპიონობა ხუთჭიდში, იყო რესპუბლიკის რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, სამჯერ გაიმარჯვა 100 მეტრზე თარჯრბენში. ახლა ოლგა სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად ემზადება და ალბათ მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან შეხვედრაზე ოცნებობს.

სპორტი მთავარი როდია ოლგას ცხოვრებაში: იგი კარგად სწავლობს და მუსიკითაც ძალიან გატაცებულია.

**პ. ტაშკენბაევი.**

ტაშკენტი.

### ცურვის მოყვარულებისთვის

ამ შემოდგომის დღეებში 500 იმიერურალელი ბიჭი ცურვის საზაფხულო სეზონს აგრძელებს: ქალაქში მწყობრში ჩადგა ახალი სპორტის სასახლე. პირველ სართულზე მოწყობილია მშვენიერი აუზი ექვსი 25-მეტრიანი ბილიკით და ორი ტრამპლინით. აუზში გამდინარე წყალია, რომელიც დღე-ღამეში 100 კუბური მეტრი სისწრაფით იცვლება. მოწყობილია დანადგარი ულტრაიისფერი დასხივებისთვის.

შემოქმედებითად უმუშავიათ არა მარტო დამპროექტებლებსა და მშენებლებს, არამედ ადგილობრივ მხატვარ-გამფორმებლებსაც. საზეიმო შესასვლელი და ინტერიერი მორთულია მოზაიკური პანოებით, რომლებიც ეძღვნება ფიზკულტურასა და სპორტს, მშდ საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსს.

**ნ. სტიაჟკინი.**

კურგანი.

„ლელოს" მკითხველი...

# ირანელი ფეჰლევანი ჰაბიბი

— ჩვენ, გაზეთ „ლელოს" მუდმივ მკითხველებს, გვაინტერესებს გამოჩენილი ირანელი ფალავნის ჰაბიბის სპორტული ბიოგრაფია, — გვწერს სპორტის მოყვარულთა ერთი ჯგუფის სახელით თბილისელი ლ. უზნაძე.

ირანელი ფეჰლევანის (ასე უწოდებენ ცნობილ ფალავნებს ქვეყანაში, სადაც ჭიდაობა სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა) ჰაბიბის ბიოგრაფია დიდ სარბიელზე 1956 წლის 1 დეკემბერს დაიწყო შორეულ ავსტრალიაში, სადაც მან ცნობილ იაპონელ მოჭიდავე კასახარასთან გადამწყვეტ ორთაბრძოლაში XVI ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა. მაგრამ მაშინ ჰაბიბი მსუბუქ წონაში გამოდიოდა. რამდენიმე თვით ადრე კი მსოფლიოს თასი გათამაშდა. ჰაბიბი პრიზიორთა საშიარ იყო (თასი ცნობილმა საბჭოთა მოჭიდავემ ბესტაევმა მოიგო).

ამის შემდეგ ჰაბიბი ორი წლით გაქრა დიდი სარბიელიდან. ახალგაზრდა მოჭიდავემ წონა მოიმატა და გულმოდგინედ ემზადებოდა ქვესაშუალო წონაში ძალის გამოსაცდელად.

1959 წელს თეირანში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ჰაბიბიმ ოქროს მედალი მიიღო ქვესაშუალო წონაში. ერთი წლის შემდეგ ოლიმპიური თამაშები ამერიკელმა ბლიუბაუმ მოიგო. ჰაბიბი არც ამჯერად იყო პრიზიორთა შორის.

1961 და 1962 წლებში ჰაბიბიმ ორჯერ გაიმეორა თეირანის წარმატება: მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჯერ იოკოჰამაში, მერე კი ტოლიდოში.

მაშ ასე, ჰაბიბი ერთხელ იყო ოლიმპიური ჩემპიონი (მსუბუქ წონაში) და სამჯერ — მსოფლიო ჩემპიონი (ქვესაშუალო წონაში). სახელოვან ირანელ მოჭიდავეს მსოფლიო ჩემპიონის ესტაფეტა ჩამოართვა ჩვენმა თანამემამულემ გ. საღარაძემ, რომელმაც ოქროს მედალი პირველად 1963 წელს მოიპოვა.

● ●

# ლაშქრობის სქემა ასეთი იყო

„ლელოს" 18 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა გ. შაქიაშვილის წერილი სათაურით „საქართველოს ხაზღვაო არე ოლიმპიური სარბიელისთვის". „ჩვენი რესპუბლიკის აფრიონსებს შავ ზღვაზე საკმაოდ რთული ლაშქრობა მოუწყვიათ. თუ საშუალება გაქვთ, გთხოვთ დაბეჭდოთ ლაშქრობის სქემა", — გვწერენ თბილისელი მკითხველები ა. ბარნოვი და ბ. კუპრავა.

„ლელოს" მკითხველთა ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად ლაშქრობის სქემა (რომელსაც აქ ვაქვეყნებთ) გადმოგვცა მოლაშქრეთა კაპიტანმა გ. შაქიაშვილმა. სქემაზე წყვეტილი ხაზით აღნიშნულია გზა ოდესისკენ, ხოლო წყვეტილ-წერტილით — გზა ოდესიდან ფოთისკენ.

# არც ერთი ყაიმი!

თბილისის ოფიცერთა სახლში გრძელდება სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. გუშინწინ გათამაშდა გადადებული პარტიები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყაიმით არც ერთი შეხვედრა არ დამთავრებულა.

რიგელმა ვ. ჟურავლიოვმა, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა თბილისელ ა. იზვოზჩიკოვთან შეხვედრაში და გაიმარჯვა. ოდესელ მ. პოდგაეცს ენდშპილში მოსკოველ დიდოსტატ ვ. ლიბერზონის წინააღმდეგ ზედმეტი პაიკი ჰქონდა და ეს უპირატესობა ქულად აქცია. თავის მხრივ ლიბერზონმა გამარჯვება (სხვათა შორის, პირველი) მოიპოვა უნგრელ ა. ოქვატთან, რომელმაც რიგელ ი. კლოვანთანაც წააგო.

ორი პარტია დაამთავრა ლ. ვადასმა (უნგრეთი): ე. ნოვაკს (ჩეხოსლოვაკია) მან მოუგო, ნოვაკის თანამემამულე ე. პრანდშტეტერთან კი წააგო. პრანდშტეტერმა კარგად გამოიყენა თავისი პოზიციური უპირატესობა ეტლების დაბოლოებაში. ლ. ცინმა (გდრ) მოუგო ი. ადამსკის (პოლონეთი). რ. პოსტლერმა (გდრ) წააგო ნოვაკთან. იზვოზჩიკოვ — ლოკასტოსა (პოლონეთი) [illegible] პარტიები [illegible].

ამჟამად [illegible] ცხრილის სათავეში უდგას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი ჟურავლიოვი, რომელსაც 8 შესაძლებლიდან 6 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან: პოდგაეცი — 5,5 ქულა, ვადასი — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია, პრანდშტეტერი — 5, უბილავა და კლოვანი — 4,5-4,5 ქულა, ცინი — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ა. გუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

# ფიშერი: „შედეგით კმაყოფილი ვარ"

რეიკიავიკში სპასკი — ფიშერის მატჩზე იუგოსლავიიდან კორესპონდენტად ჩავიდა გამოჩენილი ბელგრადელი დიდოსტატი ს. გლიგორიჩი. გთავაზობთ მცირე შემოკლებით ფიშერის საუბარს გლიგორიჩთან. ეს საუბარი ორთაბრძოლის დამთავრებისთანავე მოხდა. ინტერვიუ გამოქვეყნებულია ისლანდიურ საჭადრაკო ჟურნალ „შკაკში" (№ 28, 1972 წ.).

გლიგორიჩი. ბობი, გულწრფელად მსურს მოგილოცოთ წარმატება. თქვენ ახალი თავი დაიწყეთ ჭადრაკის ისტორიაში. დღეს დილით ფიდე-ს პრეზიდენტმა, დოქტორმა ეივემ თქვა, რომ თქვენ ხართ საუკეთესო მოჭადრაკე, რომელიც მას ოდესმე შეხვედრია ცხოვრებაში. მეც ამ აზრისა ვარ, იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი პირველი შესაძლებლობა ახლოდან მეცქირა თქვენი თამაშისთვის. სხვა დროს ტურნირებში მუდამ საკუთარი თამაშით ვიყავი გართული. გამაოცა თქვენმა ძალამ. ეს ჩემი გულწრფელი აზრია. ჩემი პირველი შეკითხვა: კმაყოფილი ხართ თუ არა მატჩით და მისი მსვლელობით?

ფიშერი. უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა კარგი სიტყვებისთვის. შედეგით კმაყოფილი ვარ.

გლიგორიჩი. მინდოდა მეკითხა, კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი თამაშით?

ფიშერი. დიახ, სავსებით კმაყოფილი ვარ.

გლიგორიჩი. ძალიან მიხარია, რომ მატჩის მეორე ნახევარში სპასკიმ ძლიერი წინააღმდეგობა გაგიწიათ, როგორ შეხვდით ამას?

ფიშერი. სპასკი ძალიან კარგად თამაშობდა მატჩის მეორე ნახევარში. მე ბოლო პარტიებში მის დიდ ძალას ვგრძნობდი. დასკვნითს შეხვედრაში უქეიფოდ ვიყავი. ვფიქრობ, იყო ზედიზედ ექვსი თუ შვიდი პარტია, რომელთა ზეგავლენით თავს ცუდად ვგრძნობდი.

გლიგორიჩი. დიახ, ეს მართალია. სწორედ ამაზე ვწერდი. ეს მკვეთრი შემობრუნება იყო და სავსებით ნორმალური. თქვენ მატჩის პირველ ნახევარს იმდენი ენერგია შეალიეთ, რომ რამდენიმე ხნით მთლიანად ამოწურეთ საბრძოლო მარაგი. ამიტომ 21-ე პარტიამ გამაკვირვა, მომეწონა თქვენი სადებიუტო იდეა, ბრძოლის ხერხი. ეს რაღაც სიახლე იყო.

ფიშერი. არა, კაცმა რომ თქვას, არც ისე ახალი იყო. მსგავსი იდეა ანდერსენის წიგნში შემხვდა.

გლიგორიჩი. გასაგებია.

ფიშერი. ბევრ პარტიაში მინახავს, გამხოლოებული პაიკი ბევრს არაფერს ნიშნავს.

გლიგორიჩი. ამას მყისვე მივხვდი, როცა პოზიცია დაფაზე ვნახე. მინდა გკითხოთ: იცით თუ არა, რომ ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის წევრი ხართ, როგორც მსოფლიო ჩემპიონი?

ფიშერი. ნუთუ? არ მეგონა.

გლიგორიჩი. დიახ, ამიერიდან ცენტრალური კომიტეტის წევრი ხართ. გექნებათ თუ არა რაიმე წინადადება მსოფლიო პირველობაზე მატჩების სისტემის თაობაზე?

ფიშერი. არ ვიცი. თუ სიმართლე გნებავთ, არ მინდა რაიმე გარკვეულად ვთქვა. დავიტოვებ არჩევის უფლებას, მე მინდა ბევრი ვითამაშო, ვითამაშო მატჩებში, აი, ჩემი აზრი... მინდა ბევრ მატჩში ვითამაშო, მატჩს ფული მოაქვს. ეს ფულის საკითხია. სამ წელიწადს ლოდინი კი ბევრია, ძალიან ბევრი.

გლიგორიჩი. შემიძლია თუ არა ვთქვა, რომ გსურთ ითამაშოთ მატჩ-რევანში სპასკისთან?

ფიშერი. დიახ, თუ ფული იქნება მატჩ-რევანშს ვითამაშებთ. ეს საკითხავი არ არის.

გლიგორიჩი. შემიძლია თუ არა ვთხოვო სპასკის, მითხრას რას ფიქრობს ამაზე?

ფიშერი. შეგიძლიათ. მატჩს დიდხანს ველოდი და თავად არ მინდა ვინმეს ვაცდევინო. მე მომწონს რუსი მოჭადრაკეები.

გლიგორიჩი. როგორია თქვენი უახლოესი გეგმები, იქნებ ოლიმპიადაში ან სხვა შეჯიბრებაში მიიღებთ მონაწილეობას?

ფიშერი. არ ვიცი. თამაში კი მსურს. ძალიან არ დავღლილვარ. გულახდილად რომ გითხრათ, მეგონა უფრო დავიღლებოდი.

გლიგორიჩი. დაღლილი არ ჩანხართ.

ფიშერი. მოწყენილი ვარ, მოქმედება მინდა.

გლიგორიჩი. სან-ანტონიოში თუ ითამაშებთ?

ფიშერი. თითქმის დარწმუნებული ვარ. მაგრამ ფული ცოტაა.

გლიგორიჩი. აპირებთ თუ არა საჯაროდ გამოსვლას? ამბობენ, თითქოს თავს არიდებთ ამას.

ფიშერი. არა, მე თამაში მაინტერესებს. ესე იგი არ მინდა, რომ სანახაობა გავხდე. გიმეორებთ, სერიოზული ჭადრაკი მაინტერესებს.

გლიგორიჩი. ასეც ვიცოდი.

# ახალი ამბები-72

● კისლოვოდსკი, 23 ოქტომბერი. დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში დღეს II ტური გაიმართა. შტეინმა მოუგო ანიკაევს, გელერმა — ზილბერშტეინს. ყაიმით დამთავრდა ხოლმოვ—გურგენიძის (ყველა — სსრ კავშირი), უნციკერ (გფრ) — ლანგვეგის (ჰოლანდია) და ზარცაი (უნგრეთი) — ჰენინგსის (გდრ) შეხვედრები. სამი პარტია გადაიდო. 2 ტურის შემდეგ ლიდერობს ლ. შტეინი — 2 ქულა.

● მინსკი, 23 ოქტომბერი. კიეველმა მსროლელმა ნ. სტოლიაროვამ აქ დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ოქროს მედალი მოიხვეჭა: მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრზე შავ სამიზნეზე სროლაში 571 ქულა მოაგროვა და ქვეყნის რეკორდი გაიმეორა. თავისი „ოქროს კოლექცია" გაამდიდრა იაროსლაველმა ვ. კორნევმა — ახლა იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში, სამი მდგომარეობის ჯამში კი 578 ქულა დააგროვა. ამ სახეობაში გუნდური გამარჯვება დოსააფის პირველმა ნაკრებმა იზეიმა — 2279 ქულა. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა შეიარაღებული ძალების კოლექტივმა.

● ოდესა, 23 ოქტომბერი. ოფიცერთა სამოქო სახლში დღეს საზეიმოდ გაიხსნა სპორტული ფილმების IV საკავშირო ფესტივალი. მაყურებელთა და ჟიურის სამსჯავროზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კინემატოგრაფისტები დაახლოებით 70 ნამუშევარს — მხატვრულ, დოკუმენტურ, სამეცნიერო-პოპულარულ, ხასწავლო, მულტიპლიკაციურ და სატელევიზიო ფილმებს წარადგენენ. ფესტივალი ერთ კვირას გასტანს.



ეკვატორულ გვინეაში, სადაც თოვლი არ იცის, გამოუშვეს ზამთრის XI ოლიმპიური თამაშებისადმი (საპორო) მიძღვნილი საფოსტო მარკა. მასზე აღბეჭდილია საბჭოთა მოთხილამურე, ოლიმპიადის ჩემპიონი 30 კმ-ზე რბოლაში ვ. ვედენინი.

# უელსი — ინგლისი

უელსის ნაკრებს ბედმა უმტყუნა: მსოფლიო ჩემპიონატის ისეთ შესარჩევ ჯგუფში მოხვდა, სადაც ალბათ გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტია — იგი ინგლისისა და პოლონეთის ფეხბურთელებთან ერთად გამოდის.

15 ნოემბერს უელსელები კარდიფში ინგლისის ნაკრებს შეხვდებიან. ამ მატჩში სათამაშოდ მწვრთნელმა 24 კაცი დაასახელა. ისევე, როგორც ირლანდიის ნაკრებში, აქაც ფეხბურთელთა უმრავლესობა ინგლისის კლუბებიდანაა: სპრეიკი („ლიდს იუნაიტედი"), მილინგტონი („სვენსი"), დევისი („ევერტონი"), თომასი („სვინდონ თაუნი"), როდრიგესი („შეფილდ უენსდეი"), კოლინზი („პორტსმუთი"), პეიჯი („ბირმინგემ-სიტი"), ინგლანდი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), რობერტსი („არსენალი"), დევისი („რექსჰემი"), იორატი („ლიდს იუნაიტედი"), მაჰონი („სტოკ-სიტი"), დარელი („დერბი ქაუნთი"), ჯონსი („ბრისტოლ როვერზი"), ჰენესი („დერბი ქაუნთი"), ჰოკი („შეფილდ იუნაიტედი"), პრისი („ბრისტოლ როვერზი"), ემანუელი („ბრისტოლ-სიტი"), ფილიპსი („კარდიფ-სიტი"), ჯეიმსი („ბარნლი"), ო'სალივანი („ბრაიტონი"), ტოშაკი („ლივერპული"), დევისი („მანჩესტერ იუნაიტედი"), რისი („კარდიფ-სიტი").

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი განუწყვეტლივ ცვლის თავისი გუნდის შემადგენლობას, უელსის გუნდთან შესახვედრად კი დაახლოებით ასეთი ვარიანტით ემზადება: ბენქსი („სტოკ-სიტი"), შილტონი („ლესტერ-სიტი"), მაკფარლანდი („დერბი ქაუნთი"), ბლოკლი („არსენალი"), მური („ვესტ ჰემ იუნაიტედი"), ხიში („დერბი ქაუნთი"), მილსი („იფსვიჩ თაუნი"), სტორი („არსენალი"), პარკესი („ქუინს პარკ რეინჯერსი"), სიმპსონი („არსენალი"), პეჯიჩი („სტოკ-სიტი"), ბელი („მანჩესტერ-სიტი"), ბოლი („არსენალი"), რიჩარდსი („ვულვერჰემპტონ უონდერერსი"), როილი („ევერტონი"), კენონი („საუთჰემპტონი"), კენდალი („ევერტონი"), ლემპარდი („ვესტ ჰემ იუნაიტედი"), ლი, მარში (ორივე — „მანჩესტერ-სიტი"), უორდინგტონი („ლესტერ-სიტი").

(საქ. ინფ.).




რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ცხოვრება

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 25 ოქტომბერი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლმეურნე" (წულუკიძე). დასაწყისი 14 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი). 16 ს.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 02725